

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (ს/კ 404439247)

საპატიო დოქტორის მინიჭების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (შემდეგ ტექსტში - თსას-ი) მიერ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების პროცესს.

მუხლი 2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების წესი

1. საპატიო დოქტორი არის წოდება, რომელიც თსას-ის დადგენილი წესით შეიძლება მიენიჭოს როგორც საქართველოს, ასევე - უცხო ქვეყნის მართლმადიდებელ სასულიერო ან საერო პირს.

2. საპატიო დოქტორის წოდება შეიძლება მიენიჭოს პირს, იმის მიუხედავად, ეკავა თუ არა თსას-ში აკადემიური, სამეცნიერო ან/და ადმინისტრაციული თანამდებობა.

3. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) მართლმადიდებლური თეოლოგიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი;

ბ) აკადემიურ განათლებასა და სამეცნიერო კვლევის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი;

გ) განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერული მიღწევა;

დ) თსას-ის განვითარებისათვის გაწეული განსაკუთრებული სამსახური;

4. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამეცნიერო საბჭო.

5. საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის უფლება აქვს რექტორს, სამეცნიერო საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს.
6. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი და ორდენი, რომლის ფორმასა და შინაარსს ამტკიცებს თსას-ის რექტორი.
7. საპატიო დოქტორის წოდების მქონე პირებზე არ გაიცემა ანაზღაურება.